საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის აფეთქების ფაქტზე მთავარმა პროკურატურამ გამოძიებიება უნდა დაიწყოს

2014 წლის 13 დეკემბერს, შპს Ą□□□□□□□A□□□ მედიაში გაავრცელა განცხადება, რომლის თანახმადაც კომპანიამ საყდრის-ყაჩაღიანის #1 სალიცენზიო უბანზე სამთო-მოპოვებითი სამუშაოები განაახლა. კომპანიის მიერ ინფორმაციის გავრცელების პარალელურად ცნობილი გახდა რომ საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ობიექტზე ადგილი ჰქონდა აფეთქების ფაქტს.

გვსურს საზოგადოებას ვაცნობოთ, რომ ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად - სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების თაობაზე გაიცემა სამრეწველო ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვა, რომელსაც სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო გასცემს. შესაბამისად, შპს Ą□□□□□□□ A□□ 2014 წლის 13 დეკემბერს, საყდრისის #1 სალიცენზიო უბანზე (აღნიშნული უბანი მოიცავდა/მოიცავს არქეოლოგიურ ობიექტს - საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღარო) აფეთქების განსახორციელებლად სააგენტოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული ნებართვა ესაჭიროებოდა.

საიას ხელთ არსებული ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, 2014 წლის 13 დეკემბერს, შპს Ą□□□□□□□ A□□ საყდრისის ყაჩაღიანის N1 სალიცენზიო უბანზე განხორციელებული აფეთქების დროს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსგან მიღებული შესაბამისი ნებართვა არ ჰქონდა.

შპს Ą□□□□□□□A□□□ კუთვნილ კარიერებზე საამფეთქებლო სამუშაოებს ს/ს □□□□□□□□□□A□

ი აწარმოებს. ამასთან, შპს Ą□□□□□□□□A□□□□ დაკავშირებით ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ მოწოდებული სამრეწველო ფეთქებადი მასალების გამოყენების ხუთი ნებართვებიდან მხოლოდ ერთი, 2015 წლის 6 იანვარს გაცემული ნებართვა ეხება საყდრისის #1 სალიცენზიო უბანზე აფეთქების განხორციელების უფლებას. თუმცა, აღნიშნული ნებართვა ვერ გავრცელდება 2014 წლის 13 დეკემბერს განხორციელებულ აფეთქებაზე.

აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259[1] მუხლის თანახმად: არქეოლოგიურ ობიექტზე ნებისმიერი სახის სამუშაოების წარმოება არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გარეშე, ან არქეოლოგიურ ობიექტზე განზრახ ზემოქმედება, რამაც მისი **დაზიანება ან განადგურება გამოიწვია** ან რის შედეგადაც ვერ ხერხდება მისი დათარიღება, იდენტიფიცირება და მასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი სამეცნიერო ინფორმაციის მოპოვება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებას წარმოადგენს. ამავე კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად კი: **დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან დაიწყონ გამოძიება.**

საია წერილობით განცხადებით მიმართავს საქართველოს მთავარ პროკურატურას და 2014 წლის 13 დეკემბერს საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის აფეთქების ფაქტზე გამოძიების დაწყებისკენ მოუწოდებს.